ბუერის ეროვნის ფოთი

№ 11

ფასი 3 მანეთი

ერობის ეროვნული
გაზეთი

კვირა 14 მარტი 1920 წელი ქ. ოზურგეთი

14 მარტი.

არ არის ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც არ მოითხოვდეს ჩვენი მთავრობისაგან გადაჭრილი ზომების მიღებას, რომ ძალით მოგლეჯილი ბათუმი და მისი ოლქი დაჩქარებით შეუერთდეს დედა—საქართველოს.

და ასეთი მოთხოვნილება ჩვენი მომქმედი პარტიებისა არც არის გასაკვირი, ვინაიდან ასეთია ნებისყოფა ქართველი დემოკრატიისა, მოთხოვნილება ისტორიული სამართლიანობისა. და ეს მოთხოვნილება ჩვენი ერისა იმდენათ მძლავრი, ერთსულოვანი და კათეგორიულია, რამდენათაც უბათუმოთ არ შეუძლია არსებობა ჩვენს ერს.

ბათუმი ჩვენი ეროვნული სხეულის სასუნთქავია, უმისოთ არსებობა ჩვენს ქვეყანას არ შეუძლია. ბათუმი უსათუოდ უნდა დაუბრუნდეს საქართველოს, მაგრამ როგორ, რა გზით დავიბრუნოთ ეს ძალათ ჩამოგლეჯილი კუთხე, ამის გადაჭრა სავსებით მთავრობის კომპეტენციის, მის უფლება—მოსილებას, შეადგენს.

ეს საერთაშორისო მნიშვნელობის პოლიტიკური საკითხია და მის გადასაწყვეტათ მარტო ერთი რომელიმე გზა არ არსებობს.

ბრძნული თქმულებაა: დიპლომატებს ენა მიტომ აქვთ, რომ აზრი უკეთ დამალონო.

ბათუმი კლიტეა ამიერ კავკასიისა და აქედან მთელი აღმოსავლეთი ქვეყნებისა. ამ ქვეყნების ბედიღბალში დაინტერესებული არიან ევროპის და მთელი მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები. ბათუმში ისკვნება ევროპის და აზიის ქვეყნების ბევრი სასიცოცხლო ინტერესები და რამდენათაც მნიშვნელოვანია ის საერთაშორისო მდგომარეობისათვის, იმდენათ მწვავეთ სდგას ეს საკითხი ყველას წინაშე, იმდენათ ენერგიულათ სწარმოებს მის გარშემო სხვა და სხვა ქვეყნების, ჩვენი საქართველოს მტრების და მოყვრების დიპლომატიური, თუ სხვა გვარი მუშაობა.

ჩვენი ეროვნული გემის მესაჭე მთავრობამ იცის არა მარტო მნიშვნელობა ბათუმისა ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ მისი საერთაშორისო მნიშვნელობაც და განსაკუთრებით კი ჩვენი მტერ-მოყვრების მუშაობა ამ საკითხის გარშემო და თავისი ნაბიჯებიც მან უნდა შეუფარდოს იმ ძალთა განწყობილებას, რომელიც შეიძლება მოყვეს მის მიერ გადადგმულ ამა თუ იმ ნაბიჯს.

რამდენათაც სწორათ აფასებს მთავრობა პოლიტიკურ მდგომარეობას და ითვალისწინებს მის ახლო მომავალს, იმდენათ იმარჯვებს ის თავის პოლიტიკაში.

ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ წარსული მოღვაწეობით დაამტკიცა ეს ნიჭი.

ჩვენ, უბრალო მოქალაქენი, მხოლოდ ჩვენი ინტერესების მიხედვით მოვითხოვთ მთავრობისაგან ამა თუ იმ ნაბიჯების გადადგმას. ამ შემთხვევაში ჩვენ ცალმხრივი ვართ, მთავრობა კი ვალდებულია ყოველმხრივ გასინჯოს საკითხი, ის არ შეიძლება იყოს ცალმხრივი საერთაშორისო მდგომარეობის დაფასებაში.

მართალია ბრძენთა თქმულება: დაყოვნება მომაკვდინებელია პოლიტიკაშიო, მაგრამ არა ნაკლებ მართალია ისიც, რომ დაჩქარებულ ნაბიჯს შეუძლია ერთიანათ გაანადგუროს მთელი აწმყო და მომავალი ერისა.

მდგომარეობასთან შეფარდებული სასწრაფო ზომების მიღება ჩვენი საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაში ამა თუ იმ გზით: იარაღით, დიპლომატიური მოლაპარაკებით, ხანაც ხერხიანი ფანდებით, ერთი სიტყვით, არც დაყოვნება, არც დაჩქარება, უკეთ რომ ვსთქვით, ხან დაყოვნება, ხან დაჩქარება მდგომარეობის მიხედვით, აი ის

საერთო ხაზი, რომელიც უნდა ტარდებოდეს ამ შემთვევაში

ამ საკითხის გადაჭრაში მხოლოდ მთავრობაა პუსუხის მგებელი ერის და ისტორიის წინაშე. მას ბევრი ისეთი რამეც ეცოდინება ბათუმის შესახებ, რომლის გამჟღავნება საქვეყნოთ არ შეუძლია მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, და ამიტომ რამდენათაც მოუთმენელი ვართ ჩვენ ბათუმის შემოერთების საკითხში, იმდენათ მოთმენით და სრული ნდობით უნდა ვეპყრობოდეთ ჩვენი მთავრობის ნაბიჯებს ამ საქმეში და მუდამ მას უნდა ვედგეთ მხარში. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ერი მხოლოდ მთავრობის გარშემო თავის მოურბენ იხსნა. ასეთივე მტკიცე კავშირი მთავრობის გარშემო დაგვიბრუნებს ბათუმს ნაკლები ტკივილებით, შეიძლება სრულებით უმტკივნეულოთ. ნათქვამია: დედის წინ მხტუნავი კვიცი მგელმა შეჭამაო. შეიძლება ჩვენც ასე მოგვივიდეს, თუ მთავრობას გაუსწარით წინ პოლიტიკის წარმოებაში.

ეს უნდა ახსოვდეს მთავრობის კრიტიკოსებს. —

საუბარი მკითხველთან.

X.

რა უნდა აკეთოს თემმა.

ნათლად რომ გავარკვიოთ, თუ რა უნდა აკეთოს თემმა, ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რა არის თვით თემი?.

პირველად ყოვლისა თემი არის ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის ძირითადი თვითმმართველი ერთეული, რომელიც წარმოადგენს რესპუბლიკის სოფლების მცხოვრებთა მიერ პირდაპირ არჩეულ ორგანიზაციას და რომელიც ყველა სხვა თვითმმართველ საფეხურზე ახლო დგას ხალხთან.

თემის დანიშნულებას შეადგენს მისი არჩეული ხალხის სამეურნეო და საზოგადო ცხოვრების მოწყობა ისე, რომ სავსებით დაცულ იქნას თვით ამრჩეველ ხალხის ინტერესები. ამ მიზნის განსახორციელებლათ თემს ენიჭება საჯარო უფლება, ე. ი. რესპუბლიკის კანონის ძალით თემის საბჭოს დადგენილება ამავე კანონებით მინიჭებულ ფარგლებში სავალდებულოა ამ თემის ყველა მცხოვრებთათვის და თუ ერთის მხრით თემის საბჭო და გამგეობა პასუხის მგებელია თავის დადგენილებებში რესპუბლიკის კანონებით უფლება-მოსილ დაწესებულებათა წინაშე, მეორე მხრით თვით მცხოვრებლები ასევე ვალდებულნი არიან თემის დადგენილება დაუყონებლივ გაატარონ ცხოვრებაში და ამ მხრივ ისინი პასუხისმგებელნი არიან რესპუბლიკის კანონების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამნაირათ, თემი არის ისეთი სახალხო ორგანიზაცია, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო უფლება-მოსილება რესპუბლიკის ძირითადი ერთეულის ცხოვრების მოწყობაში, მართვასა და გამგეობაში. მას აქვს მოვალეობა და პასუხის გება, როგორც აღსრულებითი, ისე განკარგულებითი, ე. ი. ერთი მხრით ასრულებს რესპუბლიკის უმაღლესი საფეხურების, სამინისტროს და ერობის განკარგულებებს და მეორე მხრით თვით ახდენს განკარგულებას თავის ტერიტორიაზე საჭიროების მიხედვით.

აქედან ცხადია, თემის საბჭო და გამგეობა არის ერთსა და იმავე დროს როგორც ხალხის, ისე მთავრობის დაწესებულება. ის ხალხსა და მთავრობას ორივეს გამოხატავს თავის თავში. ასეთია განსაკუთრებული ხასიათი ჩვენი თემისა.

თუ ამ დებულებას ჩვენ მივიღებთ უდავოთ, და ეს აუცილებლათ ასე უნდა მივიღოთ, მაშინ თემის მოქმედების, საქმიანობის გეზიც მოხაზული იქნება საერთოდ.

უწინარეს ყოვლისა თემის მუშაობა იმ მხრივ უნდა იყოს მიმართული, რომ არას შემთხვევაში არ ქონდეს ალაგი მთავრობისა და ხალხის დაპირდაპირებას. თემს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხალხი და მთავრობა ერთი და იგივე ცნებაა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის ძალა და სიმტკიცე ჩვენი ხალხის ბედნიერებაა, რომ ხალხის შინაური, თუ გარეშე ცხოვრების მოწყობა-მოწესრიგება ეს მთავრობის ბედნიერებაა, რომ ჩვენი მთავრობა ხალხის წინაშე პასუხისმგებელი მოსამსახურეა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში და, როცა ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის ნდობა და გავლენა იზრდება და მტკიცდება ჩვენს ხალხში, ამავე დროს და მხოლოდ ამით მტკიცდება თვით თემის საბჭოსა და გამგეობის ავტორიტეტი მის ამრჩეველებში.

ამავე დროს თემს უნდა ახსოვდეს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ისეთი წყობილებაა, სადაც ხალხის ნებას-ყოფა უზენაესი მბრძანებელია, მთავრობა კი მისი ამსრულებელი. აქ ხალხი ყველაფერია, ის არის წყარო და სათავე ჩვენი რესპუბლიკის და მისი თემის ძლევა-მოსილებისა, ამიტომ ხალხთან, თავის ამრჩევლებთან, მუდმივი და განუწყვეტელი კავშირი, რაც შეიძლება მჭიდროთ დაახლოვება მასთან და ამ გზით ხალხის შეკავშირება თემის გარშემო ყველა სათემო, თუ სახელმწიფო საქმეებზე, ეს თემის უპირველეს მიზანს უნდა შეადგენდეს.

ამნაირათ, მთავრობის ავტორიტეტის განმტკიცება ხალხში და ხალხის მტკიცე ორგანიზაციული კავშირი რესპუბლიკის მთავრობისა და თემის კარშემო, აი ის საერთო გზა, რომელსაც უნდა ატარებდეს თემი თავის მოღვაწეობაში.

ეხლა ბუნებრივათ ისმება კითხვა: როგორ, რა გზით შეიძლება თემმა სწორათ გაატაროს ეს სამოქმედო ხაზი და რა მხრივ უნდა მიუდგეს ის თავის მუშაობას, რომ ნაყოფიერი გამოდგეს მისი მოღვაწეობა ამ ნიადაგზე?.

მართვისა და გამგეობის საკითხი არის საკითხი შინაური პოლიტიკისა, რომელიც ხალხს აინტერესებს იმდენათ, რამდენათაც ის სარგებლობას მოუტანს მას პრაქტიკულათ. აქ იშლება ასპარეზი თვითმმართველობისა, ესე იგი შინაური ცხოვრების საკუთარი ძალებით მოწყობისა და ამ ასპარეზზე იმარჯვებს ის, ვინც უფრო მჭიდროთ აკავშირებს და მწყობრათ რაზმავს ამ ადგილობრივ ძალებს.

თემს უნდა ახსოვდეს, რომ ცენტრალური მთავრობისა და ერობის დახმარება წვეთიც არ იქნება მისი საჭიროების ზღვაში. ცენტრალური მთავრობისა და ერობის იმედი თემმა უნდა იქონიოს უფრო ხელმძღვანელობის მხრივ, სხვა მხრივ ის მხოლოდ საკუთარ ძალებზე უნდა ეყრდნობოდეს.

ადგილობრივი ძალების ამოქმედება, ხალხის თავის მოყრა და შეკავშირება სახალხო საქმის კარშემო აი ის გზა, რომელზედაც უნდა დადგეს თემი.

როგორ უნდა აამოქმედოს თემმა ადგილობრივი ძალები?.

შეიძლება ყველა თემისთვის საერთო მოქმედების მოხაზვა ეს აუცილებელიც არის, მაგრამ პრაქტიკულათ ამ საერთო სამოქმედო პროგრამის განხორციელება უნდა მიენდოს თვით თემს. აი, ამ პროგრამის პრაქტიკულ განხორციელებაშია გამჭრიახობა საჭირო. რომელ თემშიაც ხალხს რა უფრო უჭირს, თემის მოღვაწეობაც ამ გასაჭირის განელებით უნდა დაიწყოს.

ხალხს სჭირია გზები, მაგრამ მას ამის ფულით გაკეთება არ შეუძლია. აი აქ უნდა გამოიჩინოს საქმის ინიციატივა თემმა. ის გონიერათ, წინდახედულათ და ფრთხილათ უნდა მიუდგეს ხალხს, უნდა შეაგნებიოს, რომ ეს გზები თვით ხალხმა უნდა გააკეთოს ნატურალური ბეგარით. ამას ხალხი უთუოდ გაიგებს, უთუოდ შეიგნებს და კიდევაც გააკეთებს.

ხალხს ესაჭიროება სკოლისა და საექიმო პუნქტის შენობები, ჭაობების ამოშრობა, სახნავ-სათესი მამულების მოსარწყავათ წყლის არხების გაყვანა, სახალხო სახლი და სხვა მრავალი. თემი უნდა ჩაუდგეს სათავეში ამ საქმეს და იმავე ნატურალური წესით შეასრულებიოს ხალხს ეს საქმე.

ამრჩეველი ხალხი დაინახავს ამ სასიკეთო საქმეს, მან არ შეიძლება არ დაინახოს ეს სიკეთე, რომელიც თავის თავზე თვითონ იყვირებს და ხალხი უთუოდ შეიყვარებს სახალხო საქმეების მაკეთებელ თემს.

დღესაც ბევრია ჩვენში ქურდ-ბაცაცი, მაწანწალა, ყაჩაღი, ხალხს, მშვიდობის მოყვარე და მშრომელ ხალხს, რომ მოსვენებას არ აძლევს. ეს მავნე ელემენტები არა მარტო აოხრებს ხალხის ნაამაგარს, ისინი საფრთხეს უმზადებენ თვით ჩვენს რესპუბლიკას. თემს ყავს ამის საწინააღმდეგო ძალა, ხალხის შვილი მილიცია და მოწინავე ელემენტები, რომელნიც პირველ დაძახებისთანავე არა ერთხელ გამოსულან იარაღით ხელში ხალხის ინტერესების დასაცველათ. თემმა უნდა შესძლოს ამ ძალების მტკიცეთ შეკავშირება და მათი საშუალებით სოფელი სასწრაფოთ უნდა გაანთავისუფლოს მავნე ელემენტებისაგან და დაამყაროს მშვიდობიანი მუშაობისათვის საჭირო მყუდროება. ხალხი დაინახავს ამ ღვაწლს თემისას და სწრაფად ამოუდგება მას მხარში.

ერობისა და ცენტრალური მთავრობის ყოველ გვარ განკარგულებას სწრაფათ უნდა ასრულებდეს თემი. ყველა თვალსაჩინო ნაბიჯი ცენტრალური მთავრობისა, გადადგმული მის მიერ ჩვენი რესპუბლიკის ინტერესების დასაცავათ, ფართედ უნდა აუხსნას თემმა ხალხს. არ უნდა დარჩეს არც ერთი კუთხე თემის ერთეულისა, რომელიც არ იყოს დაკავშირებული თემის ცენტრთან ამა თუ იმ სახით.

თუ თემის ცენტრი ასე მრავალი ხილული, თუ უხილავი ძაფებით იქნება დაკავშირებული თავის უბნებთან, მაშინ გადასახადის აკრეფაც სასურველ ნიადაგზე დადგება, რადგანაც ამ შემთხვევაში ხალხის ყურამდე მიწვდება გადასახადის დანიშნულება და მიზანი.

რადგანაც დემოკრატიული წყობილების პრინციპი მოითხოვს ხალხის საქმის გაკეთებას ხალხისავე საშუალებით, ამიტომ სიტყვიერათ, თუ პრესის საშუალებით საქმიანი საუბარი, თავის ამრჩევლებთან თემის მოღვაწეობის ერთ აუცილებელ საგნათ უნდა ჩაითვალოს.

თემს უნდა ახსოვდეს: ვინც ხალხთან არის, ხალხიც მისია.

რაც თემი ამ გვარი „ბატარა საქმეებით“ საკმაოდ შეკავშირებს ხალხს სახალხო საქმეთა და ხალხის,

მიერ არჩეულ მთავრობის გარშემო, როცა ის საგრძნობლათ განამტკიცებს მთავრობის ავტორიტეტს ხალხში, მაშინ კ მხოლოდ მაშინ გახდება ის იმ უდრეკ ძალათ, რომელიც დაედება საიმედო საძირკვლათ ჩვენი რესპუბლიკის შენობას.

კიქ. ლლონტი.

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ:

— ერობის ხარჯზე მიღებული ჩოხატაურის გიმნაზიის ქონების ჩაბარება სიით და აგრეთვე ამ გიმნაზიის იდეიური მხარის გაცნობა დაევალოს გამგეობის წევრთ: პლ. კვირკელიას და კ. ქავთარაძეს.

— შტატის შემცირების გამო დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან შოფერი დავ. კარავაევი 1 მარტიდან ა. წ. და მიეცეს მას სალიკვიდაციო ათასი (1.000) მანეთი.

— თანახმად მისი თხოვნისა განთავისუფლდეს სამსახურიდან მაზრის აგრონომი ათ. ებრალიძე 1 თებერვლიდან ა. წ.

— საჭიროების მიხედვით ბ-ნი ებრალიძე მოწვეულ იქმნას რჩევისათვის, რისთვისაც ეძლიოს მას თვეში ათას ხუთასი (1.500) მანეთი.

— დაქირავებულ იქმნას ვლ. ხემერის შენობა მაზრის მილიციის ცხენებისათვის 1 ნოემბრიდან გასული 1919 წ. სამას მანეთად თვეში ამ ანგარიშში მიეცეს ხემერს 6 თვის ქირა წინდაწინ.

— მუშა პ. იგლევსკი განთავისუფლებულ იქნას სამსახურიდან, თანახმად მისი თხოვნისა 20 თებერვლიდან ა. წ.

— მიღებულ იქმნას ერობის სამსახურში პირუტყვის მომვლელათ კ. კილაძე 27 თებერვლიდან ა. წ. ათას სამასი (1.300) მანეთი ჯამაგირით თვეში.

— მიეცეს ჩოხატაურის თემის გამგეობას მის მიერ ბოლშევიკების უკანასკნელ გამოსვლების დროს ჯარისა და გვარდიის საჭიროებაზე გაწეული ხარჯების დასაფარავათ, თანახმად წარმოდგენილი ანგარიშებისა, გამოკლებით ამ ანგარიშში აღნიშნული ერთი და მერვეული საკენი შეშის ფასისა-სულ ოცდა თექვსმეტი ათას რვაას ოცდა თუთხმეტი (36.835) მანეთი და 50 კაპ. ანარქიასთან საბრძოლველ თანხიდან.

— ახლად დაარსებულ ოზურგეთის თემის გამგეობას მიეცეს დახმარება მოსაწყობი ხარჯებისათვის სამი ათასი (3.000) მანეთი.

— მიეცეს ფერშალ შონიას გზის ხარჯების დასაფარავათ 400 მანეთი.

— უარი ეთქვას ერკეთის, აკეთის და სხვა საფერშლო პუნქტებს დარაჯების დაქირავებაზე — ასეთი დარაჯები არ იქნას დაქირავებული არც ერთ საფერშლო პუნქტზე, ვინაიდან მას საჭიროება არ მოითხოვს.

— მიეცეს ხიდისთავის საექიმო პუნქტს ათას ცხრაასი (1.900) მან. პუნქტის მოსაწყობათ.

— არს. ვადაჭკორიას 2 დუქნის ქირათ ეძლიოს თვეში ათას ხუთასი (1.500) მან. 1 იანვრიდან 1920 წ. ამ ქირის ანგარიშში ავანსათ მიეცეს მას თუთხმეტი ათასი (15.000) მანეთი.

— მიღებული იქნას ერობის სამსახურში მეურმეთ დომენტი ღაჟონია 29 იანვრიდან 1920 წ. ათას ხუთასი (1.500) მან. ჯამაგირით თვეში

— გაეგზავნოს ეროკავშირს სტატისტიკური ბლანკების დაბეჭდის ანგარიშში ხუთი ათასი 5.000 მან.

— 1. თებერვლიდან ა./წ. ეძლიოს უბნის (ჩოხატაური, ლანჩხუთი, გურიანთა და სუფსა) მილიციის სამმართველოს საქმის მწარმოებლებს თვეში ათას ხუთასი (1.500) მანეთი თვითეულს.

— მიეცეს ის. ჩხაიძეს დაკარგული ხარის ფასათ ექვსი ათასი (6.000) მანეთი ანარქიასთან საბრძოლველ თანხიდან.

— ჯერ-ჯეროობით გამოწერილ იქმნას ერობის ხარჯზე პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“ თვეში თითო მასწავლებელთა კავშირისათვის.

— მიეცეს წინადადება სახალხო სკოლებს გამოიწერონ საბავშო ჟურნალები „ჯეჯილი“ და „ნაკადული“ სკოლის სპეციალური თანხიდან.

— სადურგლო სახელოსნოს მუშა იეზეკია ბურცხრიკაძე განთავისუფლებულ იქმნას სამსახურიდან 9 თებერვლიდან მისი დატუსაღების გამო ადგილის შენახვით.

— მიღებულ იქმნას ამავე სახელოსნოში მუშები: კირ. ჩხარტიშვილი 27 დეკემბრიდან 2.500 მ. ჯამაგირით თვეში და ფეოდოტი ჯღენტი 24 თებერვლიდან 2.300 მან., ჯამაგირით თვეში.

— საადგილ-მამულო განყოფ. ინსტრ. ჯაფარიძეს ეძლიოს დღიურ ხარჯათ დღეში 75 მ. როცა ის მოგზაურობს მაზრაში, გარდა გურიანთის უბნისა.

— მიეცეს ს. ჩოღობარგის სკოლისათვის ამ სოფელს საფონდო მიწიდან 605 ოთხ კ. საკ. მიწა.

— დამტკიცდეს მამულების ჩამორთმევის შემდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲘ აქტები: 1 ნიკოლოზ ყარამანისძე თავდგირიძისა 2 სექტემბერი 1919 წ. 2, ეკატერინე დივითის ასული მახარაძისა 15 ივლისი 1910 წ. 3, ტიტიკო მაქსიმელისძე გოგელიასი 25 ივლისი 1919 წ. 4, პართენ და ნატაშა ალექ. გოთუასი 28 ივნისი 1919 წ. 5, კატო გუგუნავასა (დაბა დიდია) 22 ივლისი 1919 წ. 6, ვლადიმერ სერგოსძე მგელაძისა 18 ივნისი 1919 წ. 7, ალექსანდრე ნესტორისძე თავდგირიძისა 23 სექტ., 8, ივანე ბიჭიას-ძე ცქვიტიშვილისა 6 ნოემბ., 9, სასულიერო უწყებისა 14 ნოემბერი, 10, სასულიერო უწყებისა 8 ნოემბერი, 11, სასულიერო უწყებისა 20 ნოემბერი, 12, სასულიერო უწყებისა 20 ნოემბერი, 13, სახაზინო უწყებისა 20 ნოემბერი, 14, ხაზინისა 20 ნოემბ., 15, ირაკლი გიორგის-ძე ჩიკაშუას 23 ოქტ., 16, კირილე გაბრიელის-ძე ჩიკაშუას 25 ოქტ., 17, სევასტი ხალამპრეს-ძე და სამსონ გაბრიელის-ძე ჭანტურიშვილებისა და აქვსენტი ილარიონის-ძე მეავანაძისა 14 ნოემბ., 18, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის, 9 დეკემ., 19, სამუელ გაბრიელის-ძე გოგელიასი 1 აგვ., 20, დავით სამსონის-ძე ნემსაძის და მარინე კონსტანტინეს ასული ბოლქვაძისა 26 ივლისი, 21, ვარლამ და ვიქტორ მერაბის-ძე მგელაძეებისა 17 სექტ., 22, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის 22 სექტ., 23, ეკლესიის მიწა 15 მარიობისთვე, 24, სასულიერო უწყების 5 ოქტ., 25, სასულიერო უწყების 20 ოქტ., 26, სასულიერო უწყების 20 ოქტ., 26, სასულიერო უწყების 6 ოქტ., 27, მკლიტონ რაბიდ. და პელაგია ორდ. ასულის მახარაძისა 28 სექტ., 28, სასულიერო უწყების 6 ოქტ., 29, სასულიერო უწყების 9 ოქტ., 30, ივანე ზურ., მგელაძის 16 სექტ., 31, დიომიდე ხოსიას-ძე გოგიტიძისა 5 სექტ., 32, იოსიბ ჯღენტის 26 ივლისი, 33, ჯაბა ერისთავისა 4 აგვ., 34, მასიკო და ივანე ნიკ. ცინცაძეებისა 6 აგვ., 35, მთის პირის წმ. გიორგის ეკლესიისა 30 ნოემბ., 36, ვანის ქედის წმ. ივანეს ეკლესიისა 30 ნოემბ., 87, ოქროს-ქედი მთავარ ანგელოზის ეკლესიისა 29 ნოემბერი, 38, გურიის წმ. გიორგის ეკლესიის 14 ოქტომბერი.

— აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა სამაზრო ერობას გადმოეცეს საექსპლოატაციოთ გურიაში არსებული შემდეგი სატყეო აგარაკები („დაჩები“): 1, აჭის, 2, გოგიეთის, 3, გომის, 4, ვაკისჯვარის, 5, ასკანის, 6, ერკეთ-ზოტის, 7, სურგბისა და სხვა.

— შეძენილ იქნას ქ. ბათუმში მოქ. ატატო კაკაბაძისაგან რკინეულობა ასი ათას (100.000) მანეთად, რომელი თანხაც გადახდილ იქნას აღნიშნული რკინეულობის ვაგონებში ჩატვირთვის შემდეგ. დაცვა ამ ვაგონებისა დაეკვალოს გოგოშიძეს.

— თავმჯდომარის მოადგილე გ. ბერეჟიანი განთავისუფლდეს ტეხნიკური განყოფილების გამგებლობისაგან და ეს განყოფილება ჩაბარდეს გამგ. წევრს შ. ჭოჭუას.

— გამგ. წევრი შ. ჭოჭუა კი განთავისუფლდეს სასურსათო განყ. გამგებლობისაგან და ეს განყოფილება გადაეცეს გამგ. წევრს გ. ბერეჟიანს.

მაზრის მილიციის უფროსის ვანკარგულებიდან:

მიუხედავათ რამდენიმეხელ გაფრთხილებისა წერილობით თუ სიტყვიერათ, სამსახურის წესის დარღვევას და მოვალეობის არ ასრულებას ზოგიერთ პირებისაგან მაინც აქვს ადგილი. წარმოუდგენელია შეგნებულმა პირმა არ იფიქროს იმაზე, თუ რა ზიანი მოყვება თვითნებობას სამსახურში და, თუ ვინმეს მოსდის ასეთი ეხლა, მაინც საფიქრებელია, რომ ამას განზრახ იდენს, რაც შეუძლებელია, რომ ეპატივოს. ტუსაღის გაქცევა, რა ნაირი დანაშაულიც არ უდა იყოს ის, პოსტის დატოვება უყურადღებოთ და ამის გამო ტყვეს გაქცევა, თავის დროზე არ ასრულება იმის, რაც საჭიროა, შემდეგ თავის მართლება უკოდინარობით არ მიეტევება არა თუ ორ, სამ წელს სამსახურში მყოფს, არამედ სულ ახალგაზრდასაც. შემდეგში შეუწყნარებელი იქნება ასეთი ყოფაქცევა, რა პირობებშიც არ უნდა იყოს ის დაშვებული, რასაც ვაცნობებ ყველას საყურადღებოთ, რათა შემდეგ ბრალი დასდვან თავის თავს და არა სხვას. გარდა ამისა შეშჩნეულია, რომ ზოგი პირები შედიან სამმართველოში მთვრალი და აგრეთვე ასეთ მდგომარეობაში სამსახურის აღსრულების დროს უშვებენ ისეთ კამათს, რაც ყოვლად შეუძლებელია განსაკუთრებით უფროსთან. ეს არის უზომო უდისციპლინობა, რისთვისაც ყოველი ის პირი, ვინც გაბედავს სამსახურის აღსრულების დროს ან უფროსთან ან და სამმართველოში მთვრალათ შემოსვლას, იქნება დასჯილი.

ქრონიკა.

ქ. ოზურგეთში დაარსდა ჯარის კაცთა და გვარდიელთა კულტურულ—განმანათლებელი წრე. წრის გამგეობაში არჩეულ იქმნენ: მიხაკო ბაკუნაიშვილი, რაფიელ ჩხაიძე, (თავმჯდომარე) ივანე ცო-

მაია, გრიგოლ კვაშალი (მოლარე), ლეიტენანტი კოპალეიშვილი (მდივანი) და შალვა ჩხაიძე. გამგეობასთან დაარსდა ლექციების და საუბრების, სასკოლო სათეატრო და საფინანსო სექციები. სასკოლო სექცია უკვე შეუდგა მუშაობას, ასწავლის ჯარის კაცებს და გვარდიელებს წერაკ—ითხვას, ქართულ ენაზე, აგრეთვე სომხებს, ბერძნებს და ნემცებს თავის სამშობლო ენაზე. ამას გარდა ასწავლიან საქართველოს ისტორიას და გეოგრაფიას. გამგეობა იმედს გამოსთქვამს, რომ სხვა სექციებიც და საზოგადოთ ოზურგეთის მოწინავე წრე არ დაიშურებენ თავიანთ ენერგიას ამ სიმპატიურ მიზნისათვის.

სავეტერინარო განყოფილება

ფრინველების ჭირი.

გაგრძელება

II.

შინაური ფრინველის ჭირი მრავალ-გვარია, ჩვენში უმთავრესად გავრცელებულია: ხოლერა, ციება-მალარია, დივტერიტი, ჭლექი, ანუ თხიპა. ამ ჭირის გაჩენის დროს ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ზემოთ ვსთქვით ღორის ჭირის შესახებ, ე. ი. დაუყონებლივ უნდა გავ-ცალკეოთ ავათმყოფები და ამის შესახებ ვაცნობოთ სავეტერინარო პერსონალს ან თემის გამგეობას ან ქალაქის თვითმმართველობას. თუ ეს უბანი ქალაქს ეკუთვნის, საჭიროა ამ ავათმყოფობის ზოგ ნიშნების და საწინააღმდეგო ზომების დასახელება.

ხოლერა მისი ნიშნები და დროებითი საშუალებანი. ნიშნები ამ ავათმყოფობისა შემდეგია: ერთი—ადრე სიკვდილი, (პირველ დღეებშივე) ბიბილო ულურჯდებათ, გარეთ განავალი არა ბუნებრივია და, როცა მოკვდება, ტანის ხორცი ხშირათ უშავდებათ და სხვა...

ასეთ შემთხვევაში ერთათ-ერთი საშუალებაა დაუყონებლივი და ადრე-ადრე განცალკევება ავათმყოფებისა; საერთოთ მკვდრების და უსუფთაობის ღრმათ დამარხვა ისეთსავე პიროებებში, რაც საერთოთ გადამდებ სენს ეკუთვნის და ზემოთაც არის ნაჩვენები. გაცილებით უფრო კარგი იქნება, თუ დასვრილ საქონელს (კარიებს), თუ ძვირფასი არ არის, პირდაპირ დასწავდეთ, თორემ ასეთებში ჭირი დიდხანს ინახავს თავს. არ ჩაგდოთ ლეში მდინარეებში და მიმალულ მეზობლის, გინდ თავიანთ ეზოების ჩირგვებში, თორემ აქედან სხვებსაც გადაედება სენი.

უნდა იცოდეთ, რომ ასაკარი წამალი—შრატი—დროთა ვითარების გამო ჩვენში არ მოიძებნება. კარგია აგრეთვე ჯერ კიდევ კარგად მყოფებს და სხვებსაც აძლიოთ ნიორიანი საჭმელი და მარილის სიმჟავე ერთი სტოლის კოვზი ერთ ვედრო წყალში გახსნილი და ასეთივე სითხით უნდა შეუზილოთ საჭმელი.

მალარია და მისი პირველი საშუალება. მალარია—ციება უმთავრესათ ჭაობების და ეზოებში ჩამდგარ წყლების ბრალია. ამიტომ უნდა ეცადოთ ყოველთვის ფრინველებს ექნეს სასმელათ სუფთა წყალი. ამ მიზნით უნდა ამოაშროთ ახლო-მახლო ჭონჭყოები და სხვა.

დიგტერიტი როგორც ადამიანებს, ისე ფრინველებსაც ყელში უჩნდებათ. ნისკარტი რომ გაუღოთ, შიგ ცომის გვარ ამოკრულს ნახავთ. ფრინველი თითქოს ამთქნარებსო, გეგონებათ. აქაც განცალკევებაა საჭირო და კარგი იქნება (თუნდა აქიმის მოსვლამდის) ოდი და გლიცერინი თანაბრათ ერთმანეთში შერეული ამოესვათ ხახაში ჩხირზე წახვეული ბამბით და მისცეთ საკვებათ რბილი საკენკი.

ჭლექი, ანუ თხიპა და მისი ნიშნები და დროებითი საშვალებანი. ჩვენში ვიტყვით ხიპა სჭირსო. ეს ფრინველების ხველაა ფილტვების ავათმყოფობ-ს გამო. აქ საერთო მოვლის მეტი არა შეგვიძლია გითხრათ რაიმე. შესაძლოა მხოლოთ რამოდენიმეთ საწინააღმდეგო საშვალება იხმაროს ექიმმა. ავათმყოფების დამარხვა და სხვა სიფრთხილის ზომები აქაც იგივეა, რაც სხვა ავათმყოფობისა.

(გაგრძელება იქნება)

ექ. კალანდარიშვილი.

თემის ცხოვრებიდან.

ს. ზამითი

1920 წ. თებერვლის 22 ძიმითის ნოე ჟორდანიას სახელობის უმაღლესდაწყებით სასწავლებელს ეწვია ოზურგეთის სამაზრო ერობის განათლების განყოფილების მთავარი ინსტრუქტორი ბ-ნი გაბრიელ გოგუაძე- სასწავლებლის რევიზიის შემდეგ, 26 თებერვალს, 3 საათზე მოწვეულ იქნა თემის ყველა მასწავლებლები. მიუხედავად ცუდი ამინდებისა, კრებას ყველა მასწავლებლები დაესწრენ. კრება გაიხსნა ვალერიან ხუნდაძის თავმჯდომარეობით და სტ. ჭანტურიას მდივნობით. კრების წესრიგში შედიოდა: რვეულების გადასინჯვა და წერითი ვარჯიშობის

ხასიათი, ზეპირი რეფერატების შემოღება, საგნების სწავლების შესახებ და სხვა. გადაისინჯა რვეულები: ძიმითის მაღალ-დაწყებითი, ქვედა ძიმითის დაწყებითი, ზედა ძიმითის და მამათა დაწყებითის სასწავლებლებისა. თვითეული მასწავლებლის მოხსენების შემდეგ ბ. ინსტრუქტორმა შემდეგი დარიგება მისცა: დაწყებითი სასწავლებლებში წერითი ვარჯიშობა თითქმის ყოველ დღე უნდა სწარმოებდეს, ვარჯიშობა სასურველია იყოს უფრო თავისუფალი ხასიათის. მასწავლებელი ყოველ ღონეს უნდა ხმარობდეს, რომ მოწაფეებმა სწერონ, რაც შეიძლება მართლად. ამისათვის საწერი მასალა წინ და წინ უნდა იყვეს დამუშავებული და მხოლოთ შემდეგ მიეცეს მოწაფეებს დასაწერად. კარნახი და ყოველ გვარი ზეპირი წერა, როგორც საშვალება მართალ წერისა, არ არის მისაღები.

ენის განვითარებისათვის სასურველია სკოლებში მოეწყოს წერითი და ზეპირი რეფერატები. ენის მიზანია შევამუშავებიოთ მოწაფეთ საღი ლიტერატურული ენა და აზროვნება. ამისათვის საჭიროა პროვინციალიზმებით სავსე მოწაფის ენა გავსწმინდოთ. მასწავლებელი უნდა სცდილობდეს ალაპარაკოს წმინდა ლიტერატურული ენით და უსწორებდეს მოწაფეებს შეცდომებს, როგორც გაკვეთილის დროს ისე გარეთაც. ეს ევალება არა მარტო ქართულის მასწავლებელს, არამედ ყველა მასწავლებლებს. გარდა ამისა აზროვნება უნდა სწარმოებდეს ნელა და ლაპარაკი ხდებოდეს დამარცვლილი, ეს დიდათ შეუწყობს ხელს ენის განვითარებას.

ლიტერატურული ნაწარმოებნი არის დაუშრეტელი წყარო უმაღლესი ზნეობისა, რომ მოწაფეს გამოუაშკარავოთ და ჩავახედვინოთ ნაწარმოების სიღრმეში და ნათელ ვყოთ მომქმედ პირთა განცდანი და მისწრაფებანი, ამისათვის დიდი ალაგი უნდა ეჭიროს გამომეტყველებითი კითხვას. გრამატიკა გავლილ უნდა იქნას ცოცხალ მასალასთან ერთად.

უცხო ენები, რაც შეიძლება სიმართლით უნდა იქნას გავლილი, ამას გარდა მოწაფეები უნდა შეათვისონ იმ კილოს, რომელიც ამა თუ იმ ენას სჭირია.

არითმეტიკას უნდა მიეცეს საგნობრივი სახე და შესწავლილი უნდა იქნას, რამდენათაც მოსახერხებელი იქნება, თვალსაჩინოთ. ეს ხელს შეგვიწყობს, რომ მოწაფე შევაჩვიოთ საღ განყენებულ აზროვნებას. რომ მოწაფეში გავაღვიძოთ სურვილი ბუნების ცოდნისა, ყველაფერი დამყარებული უნდა იყოს ცდებზე, რომლისთვისაც მასალა ჩვენს გარშემო ბევრია. სახელმძღვანელოს ენდა ჰქონდეს დამხმარე მნიშვნელობა. სხდომები გაგრძელდა 27-ის საღამოს 8 საათამდის.

ასეთი რევიზია რომ ხშირად მოხდებოდეს, დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს შკოლებს

ლადო ჩიკაშუა.

სკოლის საკითხეგი.

V.

წინა წერილში მოკლეთ მოვიყვანეთ ზოგადი ხასიათის მოსაზრებანი შრომა—მოქმედების სკოლის შესახებ და აღვნიშნეთ, რომ სკოლის გარდაქმნის საშუალება ერთია: მისი ამოქმედება. ვსთქვით, რომ უნდა დავახწიოთ თავი „სიტყვიერ ლოთობას“ და შევეცადოთ სკოლიდან გამოვუშვათ ცხოვრებაში არა მოდუნებული, ყოველივე უნარს მოკლებული „სიტყვის გუდა“, არამედ აქტიური პიროვნება, მოქმედების საშვალებით მოქმედებისთვის აღზრდილი, გატაცებული დაუცხრომელი წყურვილით კვლევის, ძიების, შემოქმედების.

შემდეგ წერილებში გვექნება ლაპარაკი პრაქტიკულ ხასიათის კითხვებზე, თუ როგორ დავიწყოთ მოქმედების პედაგოგიკის განხორციელება ჩვენი სინამდვილის მძიმე პირობებში და ცალ-ცალკე შევეხებით ყველა სასწავლო საგნებს.

სკოლების დათვალიერების დროს, მასწავლებელთა კრებებზე, ხშირად ვეხებით მოხსენებებში მეთოდიური ხასიათის კითხვებს მოქმედების პედაგოგიკის თვალსაზრისით (ასეთ კრებას ანუ 2—3 დღიან კურსებს ჰქონდა ალაგი სუფსაში, აცანაში, ძიმითში, აკეთში, ნაგომარში და სხვ.)

ყველა მასწავლებლები, ვინც კი აფასებს სწავლა-აღზრდის სიდიადეს, დარწმუნებულნი არიან სკოლის გარდაქმნის აუცილებლობაში, იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ მოქმედების პედაგოგიკა გაჰკურნავს მას და შესაძლებლადაც სცნობენ (ნაწილობრივათ მაინც) მოქმედების პრინციპის განხორციელებას ჩვენი სკოლის სინამდვილეში, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს სკოლას დღეს არ გააჩნია არავითარი სასწავლო ხელსაწყო და მოკლებულია ყოველივე ნივთიერ საშუალებას შეიძინოს რამე.

დარწმუნებული ვარ, მასწავლებლები აქა—იქ შეუდგებიან მუშაობას ახალი გზით; ძლიერ სასარგებლო იქნება, რომ ისინი თავის დაკვირვება—შთაბეჭდილებას ხშირად გაუზიარებდენ ერთმანეთს კრებაზე, ან პრესის საშუალებით.

სანამ გადავიდოდეთ პრაქტიკულ კითხვებზე, არ იქნება ზედმეტი ორიოდე სიტყვით გამოვა-

რკვიოთ—რა ტერმინით აღინიშნოს ახალი სკოლა —შრომის თუ მოქმედების სკოლა?.

შრომა, ხელგარჯილობა—ამ ტერმინებთან, უმთავრესად, დაკავშირებულია წარმოდგენა რომელიმე ხელობაზე, ამა თუ იმ ფიზიკურ პროფესიის დარგზე. პესტალოცციც პროფესიონალურ ხელგარჯილობას გულისხმობდა, როცა შრომას საპატიო ალაგს უთმობდა სკოლაში. რა თქმა უნდა, განახლებულ დაწყებითი სკოლაში, რომელიც არ ისახავს არავითარ პროფესიონალურ მიზნებს, დიდი მნიშვნელობა ექნება შრომას, ასე ვსთქვათ, როგორც მეთოდს. ბავშვები მუშაობენ სკოლის ბაღში, მინდორში, ბოსტანში, საფრინველოში, სხვა და სხვა სახელოსნოებში აკვარიუმში, ტერარიუმში, და სხვა—ყველა ეს შრომაა. მაგრამ ამ სკოლაში ექნება ალაგი ისეთ მომენტებსაც, რომლების აღნიშვნა სიტყვით შრომა არ შეიძლება. მაგალითად, ბავშვებს რომ უფრო საღი წარმოდგენა ჰქონდეთ პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრებაზე, სასურველია, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, სადაც მოსახერხებელია, გაკეთდეს ხელოვნური გამოქვაბული და მოეწყოს ის იმ სამუშაო თუ საომარ ქვის იარაღებით და ჭურჭლებით, რითაც სარგებლობდა პირველყოფილი ადამიანი; შესაძლებელია სხვა და სხვა სცენების ბავშვების მიერ წარმოდგენა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებიდან. აქ შეიძლება ვილაპარაკოთ მოქმედებაზე და არა შრომაზე. ასეთი მომენტები ხშირად შეგვხდება ყველა საგნების სწავლების დროს.

„სკოლა უნდა წარმოადგენდეს არა მარტო მძიმე შრომას, არამედ მხიარულ დღესასწაულებსაც, სიხარულს, განცხრომას და დასვენებას ბუნებაში და ხელოვნებაში. უნდა იქნას მიღებული მხედველობაში, რომ მცნება შრომა, როგორც პრინციპი, ისე ვიწრო და ღარიბია პსიხოლოგიურად, რომ შეუძლებელია ზედ ავაგოთ საფუძვლიანი გეგმა სკოლის გარდაქმნისა“,—ამბობს ჯი, რომელსაც უფრო მისაღებად მიაჩნია მცნება მოქმედება.

ვფიქრობ, ეს აზრი ჩვენც უნდა გავიზიაროთ და ახალს სკოლას დავარქვათ მოქმედების სკოლა.

შემდეგ წერილში შევეხებით სამშობლო ენას სკოლაში.

გაბრიელ გოგუაძე.

კითხვა—პასუხი.

კითხვა.— ძველი წყობილების დროს სოფლის სამმართველოში ამტკიცებდენ როგორც ძმების, ისე კერძო პირების საზიარო ქონების გაყოფის პირობითი ხელწერილს. **გთხოვთ გვაცნობოთ, აქვს თუ არა უფლება თემის გამგეობას დამტკიცოს ასეთი ხელწერილები?.**

პასუხი.— ძველად სასოფლო **დებულების** ძალით სოფლის „სუდიებს“ მინიჭებული ქონდა უფლება გაერჩია საგლეხო საქმეები ქონებრივ ნიადაგზე (სამოქალაქო საქმეები), რომლის ღირებულება თუ ფასი არ აღემატებოდა ას მანეთს. აი ამ ძირითადი უფლების ძალით სოფლის სამმართველო ამტკიცებდა გაყოფითი ფურცლის ხელწერას ამ ღირებულების ფარგლებში. ეს გაყოფა იწერებოდა განსაკუთრებულ შნურიან წიგნში.—საქართველოს რესპუბლიკაში წოდებრივობა **გათანასწორებულია** კანონის წინაშე, როგორც სისხლის **სამართლის**, ისე სამოქალაქო წესის საქმეებში და ამ საქმეების განხილვა მიკუთვნებული აქვს სასამართლოს, ამიტომ **უკვდა** ის გაყოფითი პირობები, რომელნიც წინათ სოფლის სამმართველოში კეთდებოდა დღეს **უნდა გაკეთოს** მოძრიგებელ მოსამართლის მიერ, რამდენი დირებულებისაც არ **უნდა** იყოს **გასაყოფი ქონება.**

განცხადება.

ვისაც სამხედრო ბეგრის მოხდა **უწევს** და ჯერ კიდევ არ გამოცხადებულა მათი შემოწმება და **სამსახურში** მიღება არის დანიშნული ქ. ოზურგეთში შარაშანიძის სახლში ეოველ ხუთშაბათს, ამიტომ ოზურგეთის საძაზრო ერობის გამგეობა წინადადებას აძლევს **ყველა** სამხედრო ბეგრის ვალდებულთ **გამოცხადდენ** დანიშნულ **დღეს** და თემთა გამგეობებს მიიღონ ზომები ამის **შესასრულებლად.**

ეროგის გამგეობა.

რედაქტორი—კოლეგია.
გამომცემელი—ოზურგ. სამაზრო ეროგის გამგეობა

სტამბა ალექ. ა. კალატოზიშვილისა ქ. ოზურგეთში.